



DEUTSCHE
WIRTSCHAFTS
VEREINIGUNG

გერმანიის
ეკონომიკური
ბაიროთიანება

DWV-ს ბიზნეს ბიულეტენი

სექტემბერი 2019

DWV FRUIT LOGISTICA-ს ოფიციალური წარმომადგენელია



FRUIT LOGISTICA, როგორც ახალი პროდუქტების - ხილ-ბოსტნეულის სავაჭრო გამოფენა, 2020 წლის 5-7 თებერვალს ბერლინის საგამოფენო სივრცეში

5|6|7 FEBRUAR 2020, BERLIN

საზოგადოებას სთავაზობს Fresh-Produce წარმოების დარგებისა და ბაზრის მონაწილეების გაცნობას.

გარდა ამისა, ხდება ინოვაციების, პროდუქტებისა და მომსახურებების სრული მიმოხილვა ყველა სავაჭრო საფეხურზე, რათა ხელი შეეწყოს მნიშვნელოვან სამიზნე ჯგუფებთან კონტაქტების დამყარებას გადაწყვეტილების მიმღებთა დონეზე.

წარმოდგენილი იქნებიან მწვანე ასორტიმენტის მწარმოებელთა სრული ჯაჭვის კომპანიები - გლობალური მითამაშებიდან მცირე და საშუალო საწარმოებამდე.

ბიზნეს მოთხოვნები საქართველოდან

თუ დაინტერესებული ხართ გერმანული პარტნიორის მოძიებით, გთხოვთ გამოგვიგზავნოთ თქვენი მოთხოვნა თქვენთვის სასურველ პროდუქციაზე ინგლისურ ან გერმანულ ენაზე და თან დაურთოთ დეტალური საკონტაქტო ინფორმაცია. დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: zaira.soloeva@georgien.ahk.de

ბიზნეს მოთხოვნები გერმანიიდან

ყველა ქვემოთ ხსენებულ ბიზნეს მოთხოვნაზე დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ, მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: zaira.soloeva@georgien.ahk.de

გერმანულენოვანი ქართველი ონლაინ საქმიანობისთვის

გერმანული კომპანია Mytaleint.io ეძებს გერმანულენოვან საქართველოს მოქალაქეს სხვა და სხვა ონლაინ-საქმიანობისთვის მათი კლიენტებისთვის. საქმიანობები მოიცავს: სატელეფონო დახმარება, ინფორმაციის მოძიება, კლიენტთა მომსახურების სერვისი, ასისტენტი და ა.შ. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ: <https://career.mytalent.io/>

ექსპორტ-იმპორტის დაფინანსება

კომერციული დაფინანსება გერმანული კომპანია DFT Deutsche Finetrading AG-სგან

გერმანული კომპანია DFT Deutsche Finetrading AG გთავაზობთ არასაბანკო დაფინანსების ახალ მოდელს, რომელიც საშუალებას გაძლევთ მიიღოთ **ბანკებისგან დამოუკიდებელი დაფინანსება** განსხვავებული პირობებით როგორცაა მუდმივი საკრედიტო ხაზი, ნაწილობრივი დაფინანსება, ერთჯერადი კრედიტი და სხვა. დაინტერესების შემთხვევაში გთხოვთ მოგვმართოთ: zaira.soloeva@georgien.ahk.de.

AKA ბანკი აფინანსებს ექსპორტს გერმანიიდან საქართველოში

2012 წლიდან გერმანული AKA ბანკი (საექსპორტო კრედიტების საზოგადოება Ausfuhrkredit-Gesellschaft m.b.H., Aka Bank, www.akabank.de) აფინანსებს ექსპორტს ერთი მილიონი ევროდან ზევით გერმანიიდან

საქართველოში. ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით 2012 წლის გაზაფხულზე გაფორმდა ხელშეკრულება საქართველოს ბანკთან. დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ დაგვიკავშირდით: info@georgien.ahk.de

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@georgien.ahk.de, ვებ-გვერდი: www.georgien.ahk.de

- საბაზრო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოფისე მომსახურება • გამოფენები და კონფერენციები • თარჯიმნით უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის სენიორ ექსპერტთა სერვისისა და მესე ფრანკფურტის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში •





DEUTSCHE
WIRTSCHAFTS
VEREINIGUNG

გერმანიის
ეკონომიკური
ბაიროთიანება

DEG ბანკი აფინანსებს ექსპორტს გერმანიიდან საქართველოში

გერმანული ინვესტიციისა და განვითარების საზოგადოება (DEG, www.deginvest.de) 50 წელზე მეტია აფინანსებს ექსპორტსა და ინვესტიციებს გერმანიიდან საქართველოსა და სხვა განვითარებად ქვეყნებში. იმ შემთხვევაში თუ საქმე ეხება გერმანულ პროდუქტს. DEG ბანკი იძლევა გრძელვადიან კაპიტალს ბაზარზე არსებული პირობებით და კონსულტაციას უწევს კომპანიებს პროექტის ყველა ფაზაში. DEG აფინანსებს ინვესტიციებს ინფრასტრუქტურაში, აგრარულ, ინდუსტრიულ და საფინანსო სექტორში. დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ დაგვიკავშირდით: info@georgien.ahk.de

ზოგადი ინფორმაცია გერმანიაში პროდუქციის იმპორტის შესახებ

გერმანიის ვაჭრობა სხვა ქვეყნებთან რეგულირდება საგარეო ვაჭრობის აქტით, საგარეო ვაჭრობის რეგულაციით, ევროპის საბჭოსა და კომისიის ლეგალური აქტებით. განსხვავებები დამოკიდებულია პროდუქციის სახეობაზე და ვაჭრობაზე სხვა ევროკავშირის ქვეყნებთან (შიდა ბაზარი) და მესამე ქვეყნებთან.

მესამე ქვეყნებიდან საქონლის იმპორტის დროს, მნიშვნელოვანია სატარიფო და არასატარიფო შეზღუდვები:

- იმპორტის სატარიფო შეზღუდვები გამომდინარეობს საბაჟო (კანონმდებლობიდან) და მოიცავს საბაჟო გადასახადს იმპორტირებულ საქონელზე.
- არასატარიფო შეზღუდვები შეიძლება გამომდინარეობდეს საგარეო ვაჭრობის კანონიდან ან სხვა ლეგალური წყაროებიდან.

იმპორტის შეზღუდვების საგარეო ვაჭრობის კანონი მოიცავს აკრძალვებს (მაგ. ემბარგო), ავტორიზაციის მოთხოვნას (მაგ. იმპორტის ავტორიზაციის მოთხოვნა გარკვეულ ტექსტილზე) და მონიტორინგის ზომებს (მაგ. დოკუმენტების მონიტორინგი რკინისა და ფოლადის პროდუქციის იმპორტის დროს).

საქონელი, რომელიც საგარეო ვაჭრობის კანონის მიხედვით ექვემდებარება ავტორიზაციას და მონიტორინგს, ასევე გარკვეულ პროცედურულ

მოთხოვნებს, ჩამოთვლილია იმპორტის სიაში. ეს სია ინტეგრირებულია ელექტრონული საბაჟო ტარიფების სისტემაში.


დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: <http://trade.ec.europa.eu/tradehelp/>

ევროკომისიის ექსპორტის საკითხებში დახმარების პროგრამის ახალი ვერსია განვითარებადი ქვეყნებისთვის (Trade Helpdesk)

ევროკომისიამ ექსპორტის საკითხებში დახმარების ახალი ვერსია შეიმუშავა. ეს უფასო ონლაინ მომსახურება ძალიან მარტივად ხსნის განვითარებადი ქვეყნებისათვის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის შესაძლებლობებს. მხოლოდ რამდენიმე ღილაკზე დაჭერით, თქვენთვის ხელმისაწვდომი ხდება ინფორმაცია სხვადასხვა პროდუქტზე ევროკავშირის მოთხოვნილებების, გადასახადების, ტარიფების, შეღავათების, წესებისა და სტატისტიკის შესახებ. იხილეთ დამატებითი ინფორმაცია: [EU Neighbourhood Info](http://EU.Neighbourhood Info)

დაგეგმილი ღონისძიებები

DWV-ს „Get together“ ღონისძიება



გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების მომდევნო „Get together“ ღონისძიება ჩატარდება **2019 წლის 16 ოქტომბერს 18 საათიდან, სასტუმრო შერატონის რესტორან ათში (მე-10 სართულზე), თელავის ქ. 20.**

„Get together“ ღონისძიებაზე მოწვეულნი არიან გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების როგორც წევრი, ასევე არაწევრი ორგანიზაციების გერმანულად მოსაუბრე წარმომადგენლები. ღონისძიება იმართება ყოველთვიურად. მოხარული ვიქნებით თქვენი ხილვით!

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: zaira.soloeva@georgien.ahk.de

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@georgien.ahk.de, ვებ-გვერდი: www.georgien.ahk.de

- საბაზრო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოვსე მომსახურება • გამოფენები და კონფერენციები • თარჯიმნით უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის სენიორ ექსპერტთა სერვისისა და მესე ფრანკფურტის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში •





DEUTSCHE
WIRTSCHAFTS
VEREINIGUNG

გერმანიის
ეკონომიკური
გაერთიანება

DWV-ს ტრენინგი: შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობით გათვალისწინებული ახალი რეგულაციები ბიზნესისთვის

ა.წ. 10 ოქტომბერს გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება მის წევრ იურიდიულ კომპანიასთან „თორამე და პარტნიორები“ მართავს ერთდღიან პრაქტიკულ ტრენინგს.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ მარიამ უგლავას: mariami.uglava@georgien.ahk.de

Messe Frankfurt-ის გამოფენა Cleanzone

2019 წლის 19-20 ნოემბერს Messe Frankfurt ქალაქ ფრანკფურტში მართავს საერთაშორისო გამოფენას - Cleanzone 2019.

დამთავალიერებელს საშუალება ექნება გაეცნოს უახლეს ტექნოლოგიებს ლაბორატორიული და სტერილური სივრცეების კეთილმოწყობისა და აღჭურვისათვის, სხვადასხვა ინდუსტრიული გამოყენებისათვის.

გამოფენის ფარგლებში დაგეგმილია ვორკ-შოფი, კონგრესი და დაჯილდოება.

DWV მხარს უჭერს Cleanzone 2019-ს და საქართველოს მოქალაქე გამოფენის მონაწილეებსა და ვიზიტორებს დაეხმარება წასვლასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ [აქ](http://www.cleanzone.messefrankfurt.com) ან ეწვიეთ ვებ-გვერდს: cleanzone.messefrankfurt.com.

დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, მიმართოთ ზაირა სოლოევას შემდეგ ელ. ფოსტაზე: [zaira.soloeva\(at\)georgien.ahk.de](mailto:zaira.soloeva(at)georgien.ahk.de).

"Bayern - Fit for Partnership"-ის მორიგი დელეგაცია ბავარიის, თემაზე: „წყალმომარაგების და წყალარინების თანამედროვე სისტემები“

ქართული კომპანიების და ორგანიზაციებისთვის უკვე კარგად ნაცნობი პროგრამა "Bayern - Fit for Partnership"-ის ფარგლებში, დაგეგმილია დელეგაციის მორიგი ვიზიტი ბავარიის, რომლის მიზანს წარმოადგენს

წყალმომარაგების და წყალარინების ინოვაციური და თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობა.

შესაბამისად, 2019 წლის პროექტის სახელწოდებაა „წყალმომარაგების და წყალარინების თანამედროვე სისტემები“.

დელეგაციის ვიზიტი დაგეგმილია მიმდინარე წლის, 20-დან 25 ოქტომბრამდე.

ბავარიაში ვიზიტისას მონაწილეებს შესაძლებლობა ექნებათ, გაეცნონ ევროკავშირის სტანდარტებს სასმელი წყლის და წყალარინების მიმართულებით. აგრეთვე, დაამყარონ ბიზნეს კონტაქტები აღნიშნული სექტორის ბავარიულ კომპანიებთან. დაგეგმილია B2B-ის ფორმატის ღონისძიება.

დეტალური ინფორმაცია და რეგისტრაციის დეტალები იხილეთ [აქ](#).

ეკონომიკისა და ენერჯეტიკის სამინისტროს ბიზნეს დელეგაცია სომხეთსა და საქართველოში

გერმანიის ეკონომიკისა და ენერჯეტიკის სამინისტროს (BMWi), მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობი, საბაზრო განვითარების პროგრამის ფარგლებში, დაგეგმილია დელეგაციის ვიზიტი სომხეთსა და საქართველოში, თემაზე: სამრეწველო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია, სურსათის გადამამუშავება და შეფუთვა, სამშენებლო და ეკოტექნიკა, ტექსტილის დანადგარები.

ბიზნეს დელეგაციის მიზანს წარმოადგენს, მანქანა-დანადგარების მშენებლობის დარგში მოღვაწე გერმანული მცირე და საშუალო საწარმოები, საინფორმაციო ღონისძიებების ფარგლებში, გაეცნონ ინდუსტრიის ან სხვა დარგების სპეციფიკას, პოლიტიკურ და სამართლებრივ პირობებს, ბაზრის შესაძლებლობებს და სამომავლო განვითარების პერსპექტივებს, ტექნიკურ და ლოგისტიკურ მოთხოვნებსა და პროცედურებს, ასევე კულტურულ მახასიათებლებს.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართება აგრეთვე, B2B-შეხვედრები და ბიზნეს-ფორუმი, რაც კიდევ უფრო მეტად ხელს შეუწყობს გერმანულ და ქართველ ბიზნესმენებს კონტაქტების დამყარებაში. დეტალური ინფორმაცია და მიმდინარე პროგრამა იხილეთ [აქ](#).

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@georgien.ahk.de, ვებ-გვერდი: www.georgien.ahk.de

- საბაზრო ინფორმაცია
- საკმიანი პარტნიორების ძებნა
- პერსონალის მოძიება
- საკმიანი ვიზიტები
- საოფისე მომსახურება
- გამოფენები და კონფერენციები
- თარჯიმნით უზრუნველყოფა
- იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია
- ორგანიზაციის დაარსება
- DWV არის სენიორ ექსპერტთა სერვისისა და მესე ფრანკფურტის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში





DEUTSCHE
WIRTSCHAFTS
VEREINIGUNG

გერმანიის
ეკონომიკური
გაერთიანება

DWV-ს წევრების ვაკანსიები

Adjara Group

აცხადებს ვაკანსიებს სხვადასხვა პოზიციებზე, განცხადებების ჩამონათვალი იხილეთ [აქ](#).

Aversi-Pharma

აცხადებს ვაკანსიებს სხვადასხვა პოზიციებზე, განცხადებების ჩამონათვალი იხილეთ [აქ](#).

Majorel

აცხადებს ვაკანსიებს სხვადასხვა პოზიციებზე, განცხადებების ჩამონათვალი იხილეთ [აქ](#).

Mytalent.io

აცხადებს ვაკანსიებს სხვადასხვა პოზიციებზე, განცხადებების ჩამონათვალი იხილეთ [აქ](#).

M²

აცხადებს ვაკანსიებს სხვადასხვა პოზიციებზე, განცხადებების ჩამონათვალი იხილეთ [აქ](#).

Orient Logic

აცხადებს ვაკანსიებს სხვადასხვა პოზიციებზე, განცხადებების ჩამონათვალი იხილეთ [აქ](#).

ProCredit Bank

აცხადებს მიღებას დასაქმების საერთაშორისო პროგრამაზე. განცხადებება იხილეთ [აქ](#).

TBC Bank

აცხადებს ვაკანსიებს სხვადასხვა პოზიციებზე, განცხადებების ჩამონათვალი იხილეთ [აქ](#).

TBC Leasing

აცხადებს ვაკანსიებს სხვადასხვა პოზიციებზე, განცხადებების ჩამონათვალი იხილეთ [აქ](#).

Tegeta Motors

აცხადებს ვაკანსიებს სხვადასხვა პოზიციებზე, განცხადებების ჩამონათვალი იხილეთ [აქ](#).

Terma

აცხადებს ვაკანსიებს სხვადასხვა პოზიციებზე, განცხადებების ჩამონათვალი იხილეთ [აქ](#).

DWV-ს წევრებისა და პარტნიორების სიახლეები და ღონისძიებები

თავისუფალი ოთახები MyTalent.io-ს ოფისში

mytalent.io გერმანული კომპანია MyTalent.io ეძებს კომპანიებს ან პირებს, რომლებთან ერთადაც შეძლებს ოფისის გაზიარებას.

ოფისში არის 1 ან 2 თავისუფალი ოთახი, 12 და 20 მ², 4-7 თანამშრომლის ადგილით. გარდა ამისა, ოფისშია სამზარეულო, აბაზანა და აივანი. მისამართი: ჭავჭავაძის გამზ. 2/2.

დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ დაუკავშირდეთ კომპანიას ტელეფონზე: 599729877

მენეჯერთა გადამზადების პროგრამა

სსიპ აწარმოე საქართველოში, გერმანიის ეკონომიკისა და ენერჯეტიკის სამინისტროსთან თანამშრომლობით და GIZ-ის მხარდაჭერით გეგმავს მენეჯერთა გადამზადების პროგრამას, რომლის მიზანია საერთაშორისო ვაჭრობის შესაძლებლობების განვითარება მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველო ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების კონტექსტში, რომელიც თავის მხრივ, მოიცავს შეთანხმებას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ, რაც უნიკალურ შანსს აძლევს ადგილობრივ მეწარმეებს წარმოებული პროდუქტი ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გაიტანონ ევროკავშირის 500 მილიონიან ბაზარზე. მონაწილეებს საშუალება მიეცემათ დაამყარონ კონტაქტი გერმანულ კომპანიებთან და გამართონ შეხვედრები.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ [აქ](#).

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@georgien.ahk.de, ვებ-გვერდი: www.georgien.ahk.de

- საბაზრო ინფორმაცია
- საქმიანი პარტნიორების ძებნა
- პერსონალის მოძიება
- საქმიანი ვიზიტები
- საოფისე მომსახურება
- გამოფენები და კონფერენციები
- თარჯიმნით უზრუნველყოფა
- იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია
- ორგანიზაციის დაარსება
- DWV არის სენიორ ექსპერტთა სერვისისა და მესე ფრანკფურტის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში





DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება

მრავალი მაჩვენებლით, Majorel Georgia-ს ტექნიკური დახმარების გუნდი, წელს ბიზნეს პროცესების აუტოსორსინგის კუთხით საუკეთესო გახდა



მეიჯერელ საქართველო სხვადასხვა პროექტს აერთიანებს. მათ შორის პირველი - E-commerce, ყველაზე დიდი და წამყვანი პროექტია. E-commerce-ი სხვადასხვა მიმართულებებს მოიცავს, მათ შორის ერთ-ერთი კლიენტებისთვის ტექნიკური მომსახურების გაწევას.

სწორედ ამ გუნდმა 2019 წლის მეორე კვარტლის შედეგების მიხედვით, საქართველო სხვა ქვეყნებისგან ხარისხობრივი შედეგებით გამოარჩია და მსოფლიოს მასშტაბით პირველი ადგილი დაიკავა. ეს პრიზი პროექტისთვის პირველი არ არის - 2019 წლის 1 კვარტალში, მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლის გამო მას მსოფლიო აღიარება მიენიჭა.

Majorel Georgia-ს ტექნიკური დახმარების გუნდმა 2018 წლის სექტემბერში 10 თანამშრომლით დაიწყო მოღვაწეობა და დღესდღეობით 115-ზე მეტ თანამშრომელს აერთიანებს.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოში E-commerce-ს სფეროს უმსხვილესი ბრენდის ტექნიკური დახმარების პროექტი უნიკალურია, რადგან მეიჯერელ საქართველოს თანამშრომლები მომხმარებლებს გერმანულ ენაზე უწყვეტ დახმარებას. საწყის ეტაპზე კომპანიამ თანამშრომლების სწავლება და პროფესიული განვითარება უზრუნველყო, რის შედეგადაც შეიქმნა ტექნიკური განათლების პროფესიონალთა გუნდი, რომელმაც ერთ წელში წარმოუდგენელ წარმატებას მიაღწია.

დიო ბავშვთა ჰოსპისის „ციცინათელების ქვეყანა“ ტრადიციული მხარდაჭერა



19 სექტემბერს კომპანია „დიო“-მ ბავშვთა ჰოსპისის „ციცინათელების ქვეყანა“ გამართულ საქველმოქმედო გამოფენა გაყიდვაში მონაწილეობა კიდევ ერთხელ

სიახლოვებით მიიღო.

აუქციონიდან შემოსული თანხა ბავშვთა პალეატიურ მზრუნველობას მოხმარდება, რომლის მიზანიც ტკივილისა და შემაწუხებელი სიმპტომების მოხსნა/შემსუბუქებაა.

საქველმოქმედო გამოფენა გაყიდვაზე „დიო“-მ რუსიკო ჩიკვაიძის ნახატი შეიძინა. საერთო ჯამში კი საქველმოქმედო საღამოდან 60000 დოლარი შეგროვდა, რომელიც ჰოსპის „ციცინათელების ქვეყანის“ ბენეფიციარებს მოხმარდება.

შეგახსენებთ, რომ კომპანია „დიო“-მ თავისი 20 წლის იუბილე „ბავშვთა ჰოსპისის“ მიუძღვნა და საკუთარ თავზე აიღო შენობის კარ-ფანჯრებით, ტენტებითა და ჟალუზებით აღჭურვა.

მემორანდუმი CSRDG-სა და DWV-ს შორის



საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრსა და გერმანიის ეკონომიკურ გაერთიანებას

შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

მემორანდუმის მიზანია საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსის Meliora 2019-ის ფარგლებში თანამშრომლობა.

კონკურსი Meliora ყოველწლიურად გამოავლენს და დააჯილდოებს საქართველოში მოქმედ იმ კომპანიებს, რომლებიც ახორციელებენ და ხელს უწყობენ პროექტებსა და ინიციატივებს სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში.

მემორანდუმს ხელი დღეს, 16 სექტემბერს, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის CSRDG მიმართულების კოორდინატორმა ლელა ხოფერიამ და გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების აღმასრულებელმა დირექტორმა თომას კიმმესვენგერმა მოაწერეს.

Meliora 2019 - ტარდება CSRDG-ის ორგანიზებით, პროექტის "სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა" ფარგლებში, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით.

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@georgien.ahk.de, ვებ-გვერდი: www.georgien.ahk.de

- საბაზრო ინფორმაცია
- საკმიანი პარტნიორების ძებნა
- პერსონალის მოძიება
- საკმიანი ვიზიტები
- საოფისე მომსახურება
- გამოფენები და კონფერენციები
- თარჯიმნით უზრუნველყოფა
- იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია
- ორგანიზაციის დაარსება
- DWV არის სენიორ ექსპერტთა სერვისისა და მესე ფრანკფურტის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში





DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG

გერმანიის ეკონომიკური ბაიროთიანება

კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ

2018 წლის მარტიდან, ორგანიზაციების გარკვეული ნაწილისთვის, მოქმედებს კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ.

2019 წლის 1 სექტემბრიდან ეს კანონი ყველა ორგანიზაციაზე ვრცელდება.

თქვენთვის საჭირო ინფორმაციას და პრობლემური საკითხების გადაჭრის შესაძლებლობებს გაეცნობით, ჩვენს მიერ შემუშავებული, პრაქტიკაზე ორიენტირებული, მოკლე საინფორმაციო ფურცლიდან.

ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, მეიჯერელ საქართველო ქუთაისში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ოჯახებს დაეხმარა



საზეიმო ღონისძიება კომპანიის ქუთაისის ოფისის ტერასაზე, 15 სექტემბერს გაიმართა სადაც 50 ბავშვს აუცილებელი სასკოლო ინვენტარი (ჩანთები, კალმები, ფანქრები, საანგარიშო, მოძრავი ანბანი, გლობუსი და ა.შ) საჩუქრად გადაეცათ.

მეიჯერელ საქართველოს გუნდმა ბავშვების გართობაზეც იზრუნა; ახალი სასწავლო წლის აღსანიშნავ ღონისძიებას ბენეფიციარები, რომელთა ასაკობრივი კატეგორია 6-დან 19 წლამდე მერყეობს, მშობლებთან ერთად დაესწრნენ. სპეციალურად მოწვეულმა ანიმატორებმა ბავშვებს მრავალფეროვანი გასართობი პროგრამა შესთავაზეს. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ ქუთაისის მერიის წარმომადგენლები, მათ შორის სოციალური სამსახური და სტუმრები ქართულ-გერმანული ცენტრიდან.

პროექტი GDZ-ის დახმარებით, მეიჯერელ საქართველომ განახორციელა. ბენეფიციარები სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან არიან და მათზე ქუთაისის სოციალური დახმარების სამსახური ზრუნავს.

Nexia TA-მ საქართველოს ბანკის უნივერსიტეტთან თანაშრომლობის ფარგლებში მონაწილეობა მიიღო უნივერსიტეტის MBA-ს სტუდენტების შერჩევის პროცესში.



Nexia TA-ს ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული განვითარების ხელმძღვანელი მაკა კუკავა:

"დღეს ძალიან ბევრ საინტერესო განათლებისა და გამოცდილების მქონე ახალგაზრდასთან ჩავატარეთ გასაუბრება, რომელთა შორისაც წარმატებულები შესაძლოა შეუერთდნენ კიდევ Nexia TA-ს დიდ, მეგობრულ და პროფესიონალებისგან შემდგარ გუნდს".

სექტემბერ-ოქტომბრის შეთავაზება სასტუმრო რივერ საიდისგან



DWV-ს წევრები სექტემბერსა და ოქტომბერში მიიღებენ 20%-მდე ფასდაკლებას პრემიუმ კლასის ოთახებსა და სუიტებზე

სასტუმრო რივერ საიდში.

შესაბამისი ოთახის დასაჯავშნად გთხოვთ დაეკონტაქტოთ დიმიტრი შველიძეს ელ-ფოსტაზე: dito(at)riverside.ge ან ტელეფონზე +995 32 2242244.

ასევე შესაძლებელია ღონისძიებების, კონფერენციების, შეხვედრებისა და დღესასწაულების დაგეგმვა რივერ საიდ სასტუმროსა და ტიფანი ბარში.

m²-ის გაყიდვების ახალი ოფისი



დეველოპერული კომპანია „m2 უძრავი ქონება“-მ გაყიდვების ახალი ოფისი

გახსნა, რომელიც ფუნქციონალურად, ტექნოლოგიურად და სერვისით სრულიად ინოვაციურია, პასუხობს თანამედროვე ადამიანის ყველა მოთხოვნას და მორგებულია მის ცხოვრების სტილზე.

წერეთლის 118-ში მდებარე სივრცე დეველოპმენტის მომავალში გამავალი ერთგვარი კარია, რომელიც აქამდე

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@georgien.ahk.de, ვებ-გვერდი: www.georgien.ahk.de

- საბაზრო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოფისე მომსახურება • გამოფენები და კონფერენციები • თარჯიმნით უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის სენიორ ექსპერტთა სერვისისა და მესე ფრანკფურტის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში •





DEUTSCHE
WIRTSCHAFTS
VEREINIGUNG

გერმანიის
ეკონომიკური
ბაიროთიანება

არსებულ წარმოდგენებს ამსხვრევს და უძრავი ქონების გაყიდვების უახლეს შესაძლებლობებს ბოლომდე წარმოაჩენს.

აქცია დიო-სგან: შეუკვეთე მეტალოპლასტმასის ფანჯარა და მიიღე საჩუქრად მწერებისგან დამცავი ბადე



„დიო“ შეზღუდული დროით გთავაზობთ გრანდიოზულ აქციას! აქციაში შედის სტაციონალური და ანჯამებზე (პეტლზე) მოძრავი ბადე.

აირჩიე, რომელიც გსურს!

დიო-ს მწერებისაგან დამცავი ბადე - თანამედროვე ტიპის და უმაღლესი ხარისხის ბადეა, რომელიც დაგიცავთ მწერებისაგან და დამატებით კომფორტს შეგიქმნით სახლებსა თუ ოფისებში. „დიო“-ს მწერებისგან დამცავი ბადე უმაღლესი ხარისხითა და გამძლეობით გამოირჩევა. ბადის ქსოვილი შედგება ლამინირებული ძუისგან, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ ნებისმიერი კლიმატური პირობების მიმართ არის მდგრადი. მწერებისგან დამცავი ბადე მონტაჟდება როგორც კარზე, ასევე ფანჯარაზე. აქცია ძალაშია 09.09.2019 – 15.10.2019. აქცია ვრცელდება „დიო“-ს ყველა ფილიალში.

ინფორმაცია DWV-ზე

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება (DWV) წარმოადგენს იმ ფორმათა საწევრო ორგანიზაციას, რომლებიც გერმანულ-ქართულ ურთიერთობებში აქტიურად არიან ჩაბმულნი. DWV 2007 წელს დაარსდა და დღეისათვის 180-ზე მეტ წევრს ითვლის.

DWV-ს მმართველ საბჭოს თავმჯდომარე არის დოქტორი საშა ტერნესი (შპს ბლუორჩარდ ფაინანს ეს.ეი). მმართველ საბჭოს ასევე მიეკუთვნებიან დავით შენგელია (კაპაროლ ჯორჯია), გიორგი ბათლიძე (BLC იურიდიული კომპანია) მიხაელ ჰამპელი (ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია) და ანდრეას ჰაიდინგსფელდერი (შერატონ მეტეხი პალასი). გერმანიის საელჩო თბილისში DWV-ს მმართველი საბჭოს მრჩეველი წევრია. მმართველი საბჭოს საპატიო თავმჯდომარე არის გერმანელი მეწარმე, პროფ. დოქტ. კლაუს ჰიპი.

DWV-ს მიზანია ხელი შეუწყოს გერმანიასა და საქართველოს შორის სავაჭრო და ეკონომიკური კავშირების დამყარებას და დაიცვას გერმანული ეკონომიკის ინტერესები საქართველოში. გარდა ამისა, DWV ემსახურება გერმანულ ფირმებს და აქტიურად ეხმარება მათ ქართულ ბაზარზე შესვლასა და დამკვიდრებაში. გერმანული ფირმების გარდა, DWV ასევე მზაა არის მოემსახუროს გერმანულენოვანი ქვეყნების ფირმებს, მაგალითად ავსტრიულსა და შვეიცარიულს. დაწვრილებითი ინფორმაცია ჩვენს შესახებ შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე: www.georgien.ahk.de

თუ გსურთ თქვენი ბიზნეს აქტივობების გაფართოვება საქართველოსა და გერმანიის ბაზარზე, ამ მიმართულებით ჩვენ გთავაზობთ მრავალმხრივ მომსახურებას.

ჩვენი მომსახურების ჩამონათვალი:

მისამართების მოძიება

- კონსულტაცია ბაზრის შესახებ
 - ბაზრის კვლევა
 - მისამართების მოძიება
 - ბიზნეს პარტნიორის მოძიება
 - ბიზნეს მეილინგი
- პერსონალი & ტრენინგი
 - სემინარები/ტრენინგები
 - პერსონალის მოძიება
- საოფისე მომსახურება
 - დროებითი პერსონალი
 - მთარგმნელობითი მომსახურება

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@georgien.ahk.de, ვებ-გვერდი: www.georgien.ahk.de

•საბაზრო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოფისე მომსახურება • გამოფენები და კონფერენციები • თარჯიმნით უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის სენიორ ექსპერტთა სერვისისა და მესე ფრანკფურტის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში •





DEUTSCHE
WIRTSCHAFTS
VEREINIGUNG

გერმანიის
ეკონომიკური
ბაიროთიანება

- მედიაცია
- დელეგაციები
- მესე ფრანკფურტი
- სენიორ ექსპერტთა სერვისი (SES)

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ [აქ](#).

DWV - Messe Frankfurt-ის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში და სომხეთში

Messe Frankfurt არის მსოფლიოს წამყვანი გამოფენების ორგანიზატორი. იგი სხვადასხვა ორგანიზაციებს გლობალური მასშტაბით შესაძლებლობას აძლევს წარადგინონ საკუთარი პროდუქცია და მომსახურება საერთაშორისო ბაზარზე. Messe Frankfurt ის ადგილია, სადაც მონაწილე კომპანიებს საშუალება ეძლევათ უშუალო კონტაქტი დაამყარონ პოტენციურ პარტნიორებთან.

DWV მხარს უჭერს Messe Frankfurt-ის ყველა გამოფენას და ეხმარება საქართველოსა და სომხეთის მოქალაქე გამოფენის მონაწილეებსა და ვიზიტორებს გამგზავრებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში. ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: zaira.soloeva@georgien.ahk.de

SES პროექტი საქართველოში - გერმანელი ექსპერტები ქართული კომპანიების სამსახურში

Senior Expert Service (SES) წარმოადგენს გერმანიის ინდუსტრიისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ფონდის პროექტს, რომელიც გერმანელ ექსპერტებს აგზავნის სხვადასხვა კომპანიებში კონსულტაციისა და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

ექსპერტები წარმოადგენენ გამოცდილ სპეციალისტებს მრავალწლიანი სტაჟით, რომელთაც უკვე დაასრულეს თავიანთი სამსახურებრივი მოღვაწეობა, აქვთ კარგი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები და ფლობენ უცხო ენებს. ექსპერტთა დახმარების მიღება შესაძლებელია 50 განსხვავებულ სფეროში. ისინი თავიანთ მომსახურებას სთავაზობენ მცირე და საშუალო საწარმოებს, სახელმწიფო სტრუქტურებს, ბიზნეს ასოციაციებსა და ისეთ მომსახურების სექტორებს, როგორებიც არიან სოციალური და სამედიცინო ინსტიტუტები, სკოლები და ა.შ.

ექსპერტის მომსახურება გამოიხატება კომპანიების თანამშრომელთა კონსულტირებით. იგი არ ითავსებს მენეჯერულ ფუნქციებს. ექსპერტის აყვანა შესაძლებელია 3 კვირიდან 6 თვის ვადით. ექსპერტი მუშაობს უსასყიდლოდ, თუმცა მისი საცხოვრებლის, კვებისა და ტრანსპორტირების (როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ) ხარჯებს, ასევე ადმინისტრაციულ ხარჯებს ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: maria.bregadze@georgien.ahk.de

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების წლიური ანგარიში 2018

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების, 2018 წლის ანგარიში მოიცავს ორგანიზაციის საქმიანობის სრულ მიმოხილვას, აგრეთვე აქტუალურ ინფორმაციას მისი წევრების შესახებ. აღნიშნული პუბლიკაცია ხელმისაწვდომია გერმანულ-ქართულ ენაზე და შეგიძლიათ უფასოდ ჩამოტვირთოთ [ბმულიდან](#).

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@georgien.ahk.de, ვებ-გვერდი: www.georgien.ahk.de

- საბაზრო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოფისე მომსახურება • გამოფენები და კონფერენციები • თარჯიმნთა უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის სენიორ ექსპერტთა სერვისისა და მესე ფრანკფურტის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში •

